
ფუნქციური ზონის ცვლილება ეხება ტერიტორიებს ყოფილი „იმელი“-ს შენობისა და სასტუმრო „ბილტმორი“-ს ახალი შენობის მიმდებარედ.

წარმოდგენილ ალბომში მონიშნულია ორი დამოუკიდებელი მიწის ნაკვეთი:

1. პირველი მიწის ნაკვეთი განთავსებულია მესხიას ქუჩის გასწვრივ ფართობი 45,20 კვ. მეტრია. აღნიშნულ მონაკვეთზე სასტუმროს ეზოს გასწვრივ, ეზოსა და გზის ნიშნულის სხვაობიდან გამომდინარე მოწყობილია საყრდენი კედელი, რომელიც საშუალოდ 30 სანტიმეტრით სცდება ტერიტორიის საკადასტრო საზღვრებს, საზოგადოებრივ საქმიან ზონას და გადადის სატრანსპორტო ზონაში, შესაბამისად საჭიროა შეიცვალოს ფუქციური ზონა და მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესყიდვა შეერთება სასტუმროს ტერიტორიასთან, რის შედეგადაც იმელის შენობასთან არსებული მცირე კუთხე გასწორდება და ერთ სწორ ხაზად გაყვება მესხიას ქუჩას.
2. მეორე მიწის ნაკვეთი იმელის შენობის მარცხენა მხარესაა, რომელიც მოიცავს უფრო დიდ ტერიტორიას, ფართობით 576 კვ.მ. გზის ეს მონაკვეთი საფეხმავლო ფუნქციით იყო დატვირთული, თუმცა დღეს მას ეს ფუნქცია აღარ გააჩნია და მხოლოდ სასტუმრო ბილტმორის მიწისქვეშა ავტოსადგომის გასასვლელს წარმოადგენს. მართალია ქვეითებისთვის ამ მონაკვეთზე გადაადგილება შეზღუდული არ არის, მაგრამ რადგანაც გზის ამ მონაკვეთს დაკარგული აქვს ძველი ფუნქცია, მოსახლეობისთვის ის აღარაა სასარგებლო. გარდა ამისა როგორც წინა შემთხვევაში აქაც გზის ნიშნულის დასაფიქსირებლად მოწყობილია საყრდენი კედელი და ეზოს ნაწილი, რომელიც გადადის საკადასტრო საზღვრებიდან და აუცილებლობას ქმნის შეიცვალოს ტერიტორიის ფუნქციური ზონა, მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესყიდვა და შეერთება სასტუმროს ტერიტორიასთან.



სიტუაციური გეგმა
მ.1:2500
მიწის ნაკვეთის ზუსტი საზღვრები

არსებული ფუნქციური ზონირების რუკა



მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი
მ. 1:750

არეალები სადაც შენობის ნაწილები ცდება საკადასტრო საზღვრებს




4616800
4616750
4616700
482850
482900
482950
483000

არსებული ფუნქციური ზონები
მ. 1:750

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2
(სსზ-2)

სატრანსპორტო ზონა 1
(ტზ-1)



საპროექტო ფუნქციური ზონები
მ. 1:750

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2
(სსზ-2)

სატრანსპორტო ზონა 1
(ტზ-1)

არეალი 2
საერთო ფართობი
576.0 კვ.მ.

არეალი 1
საერთო ფართობი
45.20 კვ.მ.

